საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1167

30/07/2021

ქ. თბილისი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამუხის ველზე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის დროებით აკრძალვის შესახებ

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ქურციკის/ჯეირანის (Gasella subgutturosa) რეინტროდუქციის პროექტის წარმატებულად განხორციელების მიზნით, 2022 წლის 1 მარტამდე, აიკრძალოს გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვარსა და საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს შორის მოქცეულ სამუხის ველზე, ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული რუკისა და დანართი N2-ით განსაზღვრული კოორდინატების შესაბამისად.

2. დაევალოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ამ ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალვის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

3. დაევალოს პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს ამ ბრძანების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

4. ეს ბრძანება შეიძლება, გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი